

22-16-49

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ზაზას ასული ელაშვილი

ხეთა სიმბოლიკა ძველ ქართულ პროზაში  
(V-XII სს-ის ძეგლების მიხედვით)

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1998

11 03 98



ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ.ბარამიძე
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ.სირაძე

ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ.მენაბდე

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნ.სულავა
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ.ალიბეგაშვილი

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის „8“

„წიგნი 12<sup>00</sup> სთაზე“

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P10.01.CN3) სხდომაზე.

მისამართი: თბილისი 380008, კოსტავას ქ. N 5


დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის „6“

„წიგნი 12<sup>00</sup> სთაზე“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. მარჯანიძე

(ამირან არაბული)



### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** „ხე“, როგორც სიმბოლური აზროვნების ელემენტი, სახისმეტყველების შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი საგანია. „ხის“ ფუნქცია ამა თუ იმ მწერალთან ან რომელიმე კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებში, ასევე ფოლკლორში, ხშირად გამხდარა კვლევის ობიექტი. რაც შეეხება ზოგადი თეორიული ხასიათის გამოკვლევას, რომელიც განიხილავს და შეისწავლის „ხეს“, როგორც სახისმეტყველების პრობლემას, როგორც „ხის“ ფენომენს, თითქმის არ მოგვეპოვება. არ არის კვლევის ერთიანი სისტემა, არეულია და არ არსებობს ზუსტი ტერმინოლოგია და კვლევის ჩამოყალიბებული სისტემის უქონლობა ართულებს „ხის“ ფენომენის კვლევას. პროფ. რ.სირაძე სრულიად მართებულად უდებს საფუძველს „ხის“ სიმბოლიკის შესწავლას ქართულ აგიოგრაფიაში. კერძოდ, „წმინდა და ნინოს ცხოვრების“ მაგალითზე, მის ნაშრომში ხე გააზრებულია როგორც სახისმეტყველებითი ელემენტი, როგორც რელიგიურ-სიმბოლური ელემენტის მატარებელი ხე-სიმბოლო და ხე-მითოლოგემა. მართალია, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სახისმეტყველება შესწავლილია, მაგრამ ამ თვალსაზრისით ერთგვარი ვაკუუმი არსებობდა როგორც ქართულ სასულიერო მწერლობაში, ასევე ზოგადად ძველ ქართულ მწერლობაში.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ხის სიმბოლიკის შესწავლას ძველ ქართულ პროზაში (V-XII სს.). ხის სიმბოლიკის შესწავლა ნაწარმოებში საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ და გავიაზროთ ნაწარმოების რელიგიურ-ფილოსოფიური გამომსახველობითი სისტემა. პრობლემის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული სიმბოლიკის თვალსაზრისითაც, რადგანაც ხე-სიმბოლო ქრისტიანული სახისმეტყველების ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. ნაშრომში შესწავლილია ყველა ის კანონზომიერება და თავისებურება, რომელიც ახასიათებს ხეთამეტყველებას ძველ ქართულ მწერლობაში.

-916-